

რედაქცია

მოლინის (პბან-სპატის) მიღწევა, პორტანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. შალაქს ვარეშე მცხოვრებთათვის: Въ Типограф. Въ редакцію газеты „Дრობა“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

დროება

გამოდის კვირკობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, ქრისტიანულს და მუსულმანულს ენებზე.

განცხადების ფასი

ღიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მოთვრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციკროთი, სტრიქონი — 5 კაპ., პეტით — 4 კაპ.

ესევე საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწავლოს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა და ლექსებს სტატიის ავტორს არ დაუბრუნდება.

თფილისის თავად-აზნაურობის

სააღმოსაქმედო ბანკი

იღებს განცხადებას სესხის აღების მსურველთათვის ამ ფაბრიკის თხუთმეტიდან

ბანკი ასახსნებს ფულს მიწებზე და ქალაქებში მდებარე უძრავ ქონებაზე, თფილისის გუბერნიის მიწებზე. სესხის ამღებნი ურთიერთ-შორის თავდებობას არ ექვემდებარებიან და ბანკის მმართველობისათვის არა ვითარს პასუხს არ აგებენ. მისაც ბანკში მიწების დაგარეგება სურს, უნდა წარადგინოს ბანკის სამმართველოში: 1) თფილისის მაზრის სამსაჯულოს უფროსი ნოტარიუსისაგან მიცემული მოწმობა, რომ დასაგირავებელი მამული სესხის ამღებ, ეკუთვნის, და რომ ამ მამულზედ ესა და ეს აღკრძალულება, საზღაური, დავა, ძიება და სხვ. არის; 2) პლანი, თუ კი აქვს სესხის ამღებს და 3) დაწერილებით შედგენილი და ფასებითი აღწერილობა მამულისა; ვისაც საქალაქო შენობების დაგირავება, (ურს ხსენებულს საბუთებს გარდა უნდა წარმოადგინონ ცეცხლისაგან უშიშარ-მყოფელს საზოგადოებაში აღებული ფურცელი.

ბანკი ასახსნებს ფულს: 1) გრძელის ვადით — გირაოს ფურცლებით და 2) მოკლე ვადით-ნაღვით. სესხის ამღების თანხმობით ბანკს შეუძლიან, რომ თვით იკისროს გირაოს ფურცლებს ვასაღება იმ ფასად, რა ფასათაც ეს ფურცლები ბირჟაზედ იყიდება და აიღოს ვასაპრჯელო სესხის მეოთხედი ნაასალი, ანუ ყოველს ამ თუმნიან გირაოს ფურცელზედ ხუთი შაური. ბრძელის ვადით სესხი იმისთანა უძრავ ქონებაზედ ვაიცემა, რომელიც ოც თუმნიანზედ ნაკლებ არ დაფასებულა.

მოკლე ვადით კი სესხი იმ უძრავ ქონებაზედაც ვაიცემა, რომელიც ოც თუმნიანზედ ნაკლებ დაუფასებიათ. **სასხად მიიღება დანაფასის:** 1) 60%-ლი ანუ ამ თუმნიან ღირებულში ექვს თუმნიანდი საქალაქო უძრავ ქონებაზედ, 2) 50%-ლიანუ ამ თუმნიანზედ ხუთი თუმანი სასოფლო მამულებზედ, და 3) 40%-ლი ანუ ამ თუმნიანზედ ოთხი თუმანი ვენახისა და ხეხილის ბაღებზედ, რომელნიც გირაოდ მხოლოდ მოკლე ვადით სესხში მიიღებიან.

რადგანაც ვერ-ვერობით საერთო საშუალო დაფასებითი აღწერილობა არ არის შედგენილი და ბანკის დამფუძნებელთ კოებისაგან დამტკიცებული, ამისგანა თითოეული გირაოდ წარმოდგენილი მამული ცალკე-ცალკე უნდა დაფასდეს. საქალაქო უძრავი ქონება ყოველთვის მასაღებისა და ნაღდი შემოსავლის დაგვარად დაიფასებან.

სესხი ბანკშია შემადგენი ვადით: 1) სასოფლო მამულებზედ 54 1/2 წლით, 2) საქალაქო უძრავ ქონებაზედ 18 წლით და 7 თვით და 3) მოკლეს ვადით 1 წლიდან 3 წლამდე იხდის.

ბანკს უნდა გარდაუხადონ: სესხის ამღები ყოველის ნახევარის წლის განმავლობაში თითოეულს ამ თუმნიან გირაოს ფურცელზედ, რომელიც მიცემულია: 1) 54 1/2 წლით იხდის 3%, ანუ 3 სარგებელს მან. და 3/4%, ანუ 12 1/2 კაპ. თვენს და 3/4% ანუ 15 შაურს ბანკის სხვა და სხვა თავნების შესადგენად და ბანკის მმართველობისათვის სახ.რჯოდ; 2) 18 წლით და 7 თვით იხდის 3% სარგებელს, 1 1/2% ანუ მანეთ ნახევარს თვენს და 3/4% ბანკის თავნებისათვის და მმართველობის სახ.რჯოდ, და 3) 1 წლიდან 3 წლამდე იხდის: გარე-შეპირი 4% ანუ ოთხმანეთს სარგებელს და ბანკის დამფუძნებელი, რომელსაც კი შეუტანია ან ამ წლის

28 მარტამდის შეიტანს ბანკის სასარგებლოდ დაწესებულს ხვედრს ფულს, 2 1/2% ანუ ორმანეთს ნახევარს სარგებელს.

ეს გარდასახადი, რომელიც ბანკს სესხში ერგება, ვალის ამღებლებმა უნდა შეიტანონ ნახევარ წლობით წინდაწინ 30 ივნისსა და 31 დეკემბერზედ არა გვიან.

რაც დაფასების წარმოებაზედ და გირაოს ფურცლების დამზადებაზედ დახარჯულია, იმის შესახებად ბანკმა უნდა აიღოს ერთჟამიერად 3/4% სასოფლო მამულებზედ გაცემულს სესხისაგან და 1% საქალაქო უძრავ ქონებაზედ გაცემულს სესხისაგან.

სესხის ამღებთ შეუძლიანთ, რომ ვალი ნაღდი ფულით გარდაიხადონ, ან გირაოს ფურცლებით, რომელთაც გაუქმების წილი ხვედრიან, ან გირაოს ფურცლებისაგან ნაკვეთის კუბანებით, რომელთაც გარდახდის ვადა შესრულებათ.

სესხს ამღებთ ყოველთვის ნება აქვთ, რომ დაწესებულის რიგით დაზოგით შესატანს ფულს გარდა (§§ 29 და 30) გრძელის ვადით გაცემულის სესხისაგან დასაჩინო დაუბრუნონ ბანკს ვადამდის ნაწილ-ნაწილად, ან თუმანიზე არა ნაკლებ, და ან თუმნიანით, ან სულ მრთელი ვალი გარდაიხადონ და ამისათვის ბანკს გირაოს ფურცლები ათათი თუმნის კვალობაზედ დაუბრუნონ.

მაგრამ თუ ამ ვალის გადასახდელად სესხის ამღები ბანკში ნაღდი ფულს შეიტანს, მაშინ ის ვალდებულია თავის გარდა სარგებელიც შეიტანოს, რადგენიც ბანკს ერგება ამ თუმნის ხვედრის გირაოს ფურცლების გაუქმებადის.

ბანკს ბანკში ქონებას აგირავებს იმას შეუძლიან, რომ ფული ბანკის ხელიდან ბირაპარ თვის კერძო მოვალეთა, ან სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებათ გარდასცეს.

რაკი შემოსხენებული საბუთები ბანკში წარდგენილი იქნება, სესხი დაუყოვნებლივ მიიღება, მაგრამ წინდაწინ გირაოს დაფასება უნდა მოხდეს.

საქართველო

რა მოსაოგს შურდობას?

ზანზირებული ქურდობა ჩვენში ყოველთვის ზამთარში იწყება, შობა-ახალწლის დღისასწაულებიდან, და დიდშარხვის შემდეგ თითქმის გასფხულზე თავდება.

ზადხედვით ამ ხნის განმავლობაში ვიძინებულს გავთის კორესპონდენციება და ამ სიტყვის სიმართლეში დარწმუნდებით. იქნებოდა, სამეგრელოდამ, შართლიდამ და ქახეთიდამ ერთნაირად იწყებებინ, რომ ამა და ამ მოსახლეს, ამა და ამ სოფელს ავაზაკები დაეცნენ, გაცარკვეს და გაქურდესო; იქ ცხენი მოიპარეს, აქ ცხვრებიო; ამას ყელი გამოსჭრეს,

იმას რაც სახლში ავეჯულობა ჰქონდა, წაართვესო და სხვ. და სხვ.

მიაქციეთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ ამგვარი ქურდობა და ავაზაკობა უფრო ხშირად ზამთარში ხდება ხოლმე, ე. ი. ისეთს დროს, როდესაც ღარიბი ხალხი ყველაზე უფრო გრძნობს შიმშილს, სიცივეს და საზოგადოთ ყველაფერს, რაც აღამანის საცხოვრებლად აუცილებელად საჭიროა.

და არათუ მარტო ჩვენში, ეს საზოგადოთ ყოველგან და ყოველთვის ასეა: ღარიბი, უსახლ-კარო, ულუქმა პური ხალხი, რომელსაც საზოგადოება საზრდოსა და თავშესაფარებელს არ აძლევს, ქურდობას, ავაზაკობას და ცუდ საქმეებს იწყობს.

არსად არ არის ისეთი იშვიათი ქურდობა და ცუდ-კაცობა, როგორც

ფულტონი

იხარლება

რომანი
თავი მეორე
„იგინი“ და „ისინი“
X

ცოცხა მოინდომა, ოდესმე ჩინებულის, მაგრამ დღის კი დროთა ვითარებისაგან დაჩაგრულის საქართველოს ფეხზედ წამოყენება. იმ ყოველად ღირს გვაშს კარგათ ესმოდა, თუ რა ექარებოდა იმ დროს ჩვენს ქვეყანას: პირველად გარეშე მტერების ე. ი. მთის ხალხების მოშორება და მერე შინაგანის მტერების ე. ი. უგუნურებისა და უმეცრების დევნა.

პირველისათვის საჭირო იყო თავგანწირული რაინდობა და მეორისათვის განათლება.

ამისათვის იმან მიაქცია ყურადღება უფრო საზნებრო ძალას და


რადგანც ჰგრძნობდა, რომ მომსვლელის წინამძღოლად საჭირო იყო იქაურივე, ადგილობრივივე რაინდობა, ამისათვის საქართველოს ახალგაზდობას მისცა განძობებით რაინდული მიმართულება და არც შემცდარა: მართლათაც, ძავეკისის მთებში მოწმობენ მათს თავგანწირულს გმირობას.

„ის სამხედრო ახალგაზდობა, რამდენათაც დაუფასებელი და აუცილებელი იყო, ვგრეთ იმოდენათვე მოუშდებელი და გამოუდგარი იყო შინა საქმეებისათვის.

მაგრამ ეს შინაგანი საქმეებიც

მხედველობაში ჰქონდა მარანცოვი: შეგონა მამები, რომ შეილები გამოეზარდათ, წახალისა შეილები სწავლაზედ, მის დროს გაიხნა სასწავლებლები, მისმა ბრწყინვალე მეუღლემ თავის ხარჯით ქალების სასწავლებლები გაძარდა, დამინებულს ლიტერატურას მიაქცია იმ კეთილმა კაცმა ყურადღება, წახალისა მწერლები; მის დროს ყოველი მოღვაწე სამშობლოსათვის მისგან დასაჩუქრებული იყო, როგორც ზნეობითად ისე მატერიალურათაც. ბოლოს გამოგზავნა ახალგაზდები სახელმწიფო ხარჯით მაღალ-სასწავლებლებ

პირველი სიტყვა ერგო პალმერს-ტონს, რომელმანც გაპარკა ხელები და მოჰყვა ტყუპნი: ღირს-სახსოვარმა მთავარ-მართველმა მიხაილ სვიმონის ძემ მარან-



შევიცარიაში, ბელგიაში და ამერიკაში; მაგრამ ამასთანავე არსად არ არის ხალხი ისეთი შეძლებული და კმაყოფილი, როგორც ამ ქვეყნებში.

ბაუჩინეთ ხალხს საქმე; თავის ოფლით ნაშოვნ ლუკმას ნუ წაართმევთ განათლებით, და თუ ამ ხალხში ქურდები და ავაზაკები გამრავლდნენ, მაშინ შეგძლიანთ სთქვათ, ადამიანი ბუნებით ბოროტი ქმნილება ყოფილა, რომ განათლებასა და კარგს ეკონომიურ მდგომარეობას არავითარი გავლენა არ ჰქონია ხალხის ზნეობაზე და კეთილ-მდგომარეობაზედა-თქო.

ზოგიერთები ჩვენში ამ უკანასკნელ წელიწადებში ქურდებისა და ავაზაკების გახშირებას იმ კანონის მუხლს აბრალებენ, რომლის ძალითაც მსაჯული ვალდებულია ჯერ ცხადთ დაამტკიცოს, რომ ბრალდებულმა ნამდვილად მოახდინა ესა და ეს ცუდ-კაცობა და მერე სასჯელი გადაუწყვიტოს.

ჩვენში ამბობენ: როგორ შეიძლება, ბატონო, ცხადთ დამტკიცება! ავაზაკი ხომ მოწმებს არ წამოიყვანს თან, რომ მოდი, კარცვა-ქურდობაზე დამესწარიო?

ის აზრი უსაფუძვლოა, ამიტომ რომ მოწმებს გარდა, მსაჯულს და გამომძიებელს ათასი ისეთი გარემოების მონახვა შეუძლიან, რომლითაც მართლა და ცხადთ შეუძლიან ქურდობა და ავაზაკობა დამტკიცოს; კიდევ ამიტომ რომ კანონს მართო ექვის აღებით არავის დასჯა არ შეუძლიან.

ამას გარდა ყველა დარწმუნებულის უნდა იყოს იმაში, რომ თვით ლიკურგის კანონები რომ გამოსცეს რომელიმე მთავრობამ ქურდობის მოსასობებლად, ეს კანონები იმის მეთად სარგებლობასაც ვერ მოატანს ამ საქმეში, რამდენსაც ერთი სოფლის შკოლა და ხალხის განთავისუფლება იმ შემავიწროებელი მიზნებისაგან რომელიმე იმას დღეს დატაკად და საზოგადოების მომდურად ხდინან.

ჯერ ეს მოსვით, განათავისუფლოთ ხალხი ყოველგვარ დამჩაგრავი ძალი-საგან, ეცადეთ, რომ იმას შრომით ლუკმა-პურის პოვნა შეეძლოს, რომ იმის ნაღვას სხეები არ ართმევენ, და დამერწმუნეთ, რომ ქურდობა, ავაზაკობა და ყოველგვარი ცუდ-კაცობა მაშინ ჩვენში ერთი-ათად შემცირდება...

კობა და ყოველგვარი ცუდ-კაცობა მაშინ ჩვენში ერთი-ათად შემცირდება... ს. მესხი

„დროების“ კორექსორდენცია

თელავი, 13-ს თებერვალს.

ჩვენში თუ ვისმეს პირში შეაქვთ, ელაქუცები და მოუწონებ ყოველგვარ საქმეს, თუნდ ნამდვილად ჰხედავდ მის ჩერჩეტს აზრსა, მაშინ, მოგეცა სიცოცხლე, იმის მოყვარეც, მგობარიც და კეთილის-მყოფელიც შენ იქნები; და თუ ვინცობა არის, უთხარი პირში ნაკლულეგანება და ხინჯო, მაშინ კი ღმერთმა შეინახოს, — თუ მოწამეც დაისწრო, ამაზედ ზოგი ერთი სასამართლოში საჩივარსაც შეიტანს, რომ ამა და ამ კაცმა, ამა და ამ სახით, ესა და ეს შეურაცხ-ყოფა მოამყენა!

პორრესპონდენციის მოვალეობა ისეთია, რომ ის იძულებულია ხშირად არ მიაქციოს ყურადღება საზოგადოების ამ გვარს ხასიათს და „პირში მოყვარეს უზრახოს.“ ამის გამო თუნდ ტარტაროზთანაც გაგზავნონ საჩივარი ჩემს შკაცრად დასასჯელად, მე ხანდისხან მაინც ვიტყვი, რაცა მაქვს სათქმელად.

თუ ჩვენს თელავს ოდესმე გამოვლიძება სურს, ეხლა კარგი დრო არის: ჩვენს თელავის ქალაქში აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკი გააღეს, მამულების დამფასებლებიც ამოირჩიეს! ჰა... თორემ სხვა მიგვასწრობს და იქიდამაც ცარილები დაერჩებით, და მაშინ ნაღვლიან გულზედ უფრო ძილი მოგვერევა; შემდეგ ველარც იფნის სახრე გამოგვაღვიძებს! თორემ იმ ერთს საქმესავეთ დაგვემართება კიდევ: ამ შეიღის წლის წინად. მთავრობამ გამოაცხადა სურვილი ტელეგრაფის გამართვისა თელავისიდან ზომბორის მთაზედ თელავამდის; მაგრამ ამათმა ყურის გდებამ და „დაიცამ“ საქმეს ისე შესცვალა, რომ სიღნაღლებს დარჩათ ეპკობაში. მხლა კი როგორც არის გაბედეს, და მართლისა თუ არა ბაწრისას მაინც გააბავენ, სამოქალაქო ხარჯით.

მხლა აი ჩვენი წყევა—გლეჯვა რაზედ არის: წარსულს წელში „მთავრობის განკარგულებაში“ დაბეჭდი-

ლი იყო, რომ ზაქათალის მზრის სასწავლებელი უნდა დაკეტონ და თელავში უნდა გაიხსნას სამხედრო პროკინზინია, რომელშიაც ზაქათალის მზრის შეგირდებიც უნდა გადმოვიდნენ და სხვა მანლობელი მზრისაცო. მაგრამ ლამის არის ეს შემთხვევაც სამუდამოდ ხელიდამ დაქარგონ თელაველებმა.

მე, ამ გვარ შემთხვევებში, სიღნაღლები ძალიან მომწონან და ეაქვბ იმათ მტკიცე სამოქალაქო კავშირს. მაგრამ ამას კი ვიტყვი, რომ პროკინზინისათვის ვიდრე სიღნაღში თელავში უფრო სამჯობინარო არის, ადგილის მდებარობის მიხედულობით და ჰავით. თუმცა, მართალია, სიღნაღიც კარგი მდებარობისა არის, და ერთი სიღნაღელი კორრესპონდენტი ამტკიცებს, რომ ვითომც სიღნაღის მდებარობა დიდად წააგავდეს იტალიის და შვეიცარიის მდებარობას; თუმცა ჩვენს მზარეს სიღნაღის საშუალო პუნქტია და ზაქათალის მზარელებისათვისაც ახლოს არის, ვიდრე თელავი, მაგრამ ანდაზათ თქმულია: „შორი გზა მოუარე, შინ მშვიდობით მიდიო!“ და არც თელავია ძალიან მოშორებით: სიღნაღიდან თელავამდის ორმოცდაათი ვერსტი ითვლება. ის ანდაზაც იმითომ მოვიყვანე მაგალითად, რომ ერთხელ სიღნაღში მივიღიოდი, ენახე, რომ სომხების სასაფლაოზედ მიცვალბულს მიახვეწებდნენ; იმდროს კუბოს ამწევებს ფეხები წაუბორძიკდათ, დაუფარდათ კუბო და საცოდავი მიცვალბულის შაქირის თავს მოექცა. ამ გვარ ადგილის მდებარობაზედ რომ სასწავლებელი გააკეთონ, როგორც მოგვხსენებათ და მოგაგონდებათ პატარაობა, ექვი არ არის, რომ შეგირდები „დაგორილობას“ ითამაშებენ, — და თუ მკედარმა შაქირის თავამდის იგორა, ცოცხლობა მგონია, ბოლოც თან გაატანოს. ამ გვარ შემთხვევებს თელავში ვერ შეხვდებიან არც ცოცხლები და არც მკედრები.

აბა, თელაველებო!

ბ. ზრემელი

შუთისი, 7 იანვარს.

სხვა მეჯობებსა და ლამის მცარეველთა შორის, ერთი ხელდახელ მცარეველი კაცი აგვიჩნდა. ის არ მოქმედობს ქურდობით, არც ძალით

ლექურ-ხანჯლით. ამავების წაფლად ეს ხმარობს „სამ ქოლადს“...

ის არის სხვა ტომის კაცი, თათარი, რომელსაც ქართული იმდენათ შეუწავლია, რამდენათაც მისთვის საჭიროა, ე. ი. რომ თავის წინადადება ამცნოს ქუჩაზედ მღვლე-გამომღელ ხალხს: „ძაძო, მოდი ფულები მოიგე, აი ზამი გავალდი, ორი ქაფი და ერთი ძიდელი, თუ შენ ძიდელი, მე ფული მოგძე, რამდენი შენ უნდა; თუარა ნახო, ქენ მომძე“

ამ სიტყვების ლაპარაკში თათარი ათამაშებს ქალაღს ხელში, ეშმაკურად: ხან ერთს აქეთ გადმოაგდებს და ხან მეორს იქით.

მართი წელიწადია თურმე, რაც ეს კაცი აქ არის და ყოველთვის იმისთანა ქუჩას ირჩევს საჯდომად, სადაც უფრო ბევრი სოფლის დაბალი და გამოუცდელი ხალხი დადის, რომ უფრო თავისუფლად შეეძლოს ხალხის მოტყუება.

ზაგონებს თუარა ხალხი თათრის მცბიერ სიტყვას, ჯერ ერთი მიგა საყურებლად, დაადგება თავზე ზჯდომიარე თათარს, ამას მეორე მიემატება, მეორეს მესამე და შეიყრან თავს ერთად ამ თათრის გარშემო ათითუთხმეტი კაცი. მათარი თავის სიტყვებს იმეორებს და ქალაღს ათამაშებს.

ჯერ ვერცერთს ვერ გაუბედია თამში, ამდროს მოვა ერთი კაცი (ამხანაგი თათრისა), ითამაშებს მანეთზე. მოიგებს ორ-სამ მანითამდის და მხიარული სახით უკან გაბრუნდება

ამის შემხედავი დაბალი ხალხი, რომელსაც არ გაუგია, რა ეშმაკობა მოხდა, ამოიღებს ერთს თავის პირეულსა და უკანასკნელ მანეთს, რომელიც უთუოდ აულია ქათმის ან კვერცხის გაყიდვით, და ჩადის სათამაშოდ იმ იმედით, რომ მეორე მანეთს უჯაფოდ ვიშოვნო, მაგრამ აუამც თუ სხვა მანეთი იშოვნოს, არამედ თავისასაც ველარ იშოვნის მის დღეში. საწყალი კაცი გაშემდება და დარჩება პირ-ღია, ვერც თათარს რამეს ეუბნება.

ამის დამნახველი მეორე კაცი ჩადის თითო ოროლ აბაზობით; ესეც იმ იმედით, რომ ჩემი მეზობლის წანაგები მაინც არის ამოვილოვო; მაგრამ ესეც ორ მანეთამდის ისე წააგებს, რომ ერთ კაპიკსაც ვერ გამოიბრუნებს. შერამხდლინი გლე-

ში სტუდენტებათ და იმ სტუდენტებისაგან ელოდა მისი აზრის, შესახებ საქართველოს ბედნიერების, სისრულეში მოყვანას; მაგრამ ამაოდ, იმ დროს სტუდენტები რომ დაბრუნდნენ, მხოლოდ ის დაუმტკიცეს ხალხს, რომ თავზედ უბრალო ქუდის მაგიერ შეიძლება კაცმა ბოყე-ქუდა დაიხუროს და მარხვაში სასხნილო სჭამოსო, სხვა არა ფერი.

„მაგრამ ის იყო პირველი წყება სტუდენტობისა, და ამისათვის ბევრიც არ მოეთხოვებოდათ.

„ღღეს კი ჩვენ შევადგენთ მეორე წყებას და ჩვენი ვალიც არის

სხვა გვარად საქმის წაყვანა“.

„ჩვენ უნდა გავიხსნოთ დიდი მოძღვრის სიტყვები:

„აღიღეთ ჯვარი თქვენი და შემომიღვიეთ მე“.

„მივბაძით მოციქულებს, დაევიწყეთ პირადობა, შევისწიროთ ჩვენი თავი ქვეყნის სიყვარულს, თავ-გამომეტებულად ვსდევნოთ ყოველივე ცუდი ჩვენის ქვეყნის შემარცხენი და ვადილოთ მისი კეთილი—საქმით, სიტყვით და განძრახებით!...“

„რასაკვირველია, ეს ეკლიანი გზა ჩვენ დაგვტკარავს, მაგრამ განა არ ვიცით, რომ ეკლის გვირგვინმა რომ

თავი დააშენა, არცერთ ძვირფას საღიღებელ გვირგვინს არ დაუშვენებია მტარვალი თავი?

„ნუ შევჭკრთებით, ამ თავითვე უნდა ველოდეთ, რომ ჩვენი წამება და ტანჯვა არ იქნება იმ გვარი, რაგვარიც მიუღიათ ჩვენს მამულის შეილებს, ბრძოლის ველზედ სისხლით დაწურულებს. არა, აქ რამოდენიმე საათში თავდებოდა მათი ტანჯვა და სიკვდილის დროს თანამგონობი ჰყავდათ და ჩვენ კი ისე უნდა ჩავიდეთ საფლავში, რომ უგნური უმეტესობა წყველას გაგვატანს საიქიოს, მაგრამ რა ეუყოთ!.. საქარ-

თველო იყო ჩვენი აკვანი და ისევე უნდა შეიქმნეს ჩვენივე სამარე! სამშობლო, ვინ არ შესვას შენთვის სიმწარე „უტკებს ძახეთის ღვივისა?“

„შმაწილებო, დღეს ჩვენ გეთხოვებით თქვენ, ჩვენ რამოდენიმე და იმ იმედით აღვსილნი, რომ თქვენც მალე მოგვეშველებით, გამხსნელებით და თამამად მივატანთ იერიში ჩვენს სამუშაო საგანზედ. მშვიდობით!...“

ზათათა და გადავხვია თვითვეულად ყველას. ახალგაზდობა აღელდა, ზოგს ცრემლებიც მოსდიოდა.

აკაკი

(გაგრძელება)

ხები ერთმანეთს ეუბებიან: „დღეს ჩემმა დედა-კაცმა ხუთი ვარია ქათამი გამომატანა და ის ერთი მანეთი ავიღე, იმით რაღაცები უნდა შევიღო ცოლისთვის. ახლა რაღა ექნა ან რა უთხრა ცოლს, სახლში რომ მივიღე? — მაიმე მიუგებს მეორე, მეც ეგა დამემართა, ის ოხერი მაინც ჩემი ყოფილიყო!“

ეს კიდევ არაფერი: ბევრჯერ მიწახავს საწყალ ობოლ რვა წლის ბავშს რომ გაესყიდა დედის გამოტანებული კვერცხი ან ქათამი აბაზის თუ ხუთი შაურისა, და რომ ეყურებინა თათრის ამხანაგს მანეთი მოეგო, ამის შეხედულობით შემცდარიყო ბავში, წაეგო ფული და ცხარის ცრემლით ტიროდა.

ამ საქმეში დაბალ ხალხთან მღვდლებსაც მიუღია მონაწილეობა. მათ მღვდელს ენახა, რომ მისს მოწაფეს ერთ მანეთამდის წაეგო, მღვდელს ეფიქრა: ამ თათარს თუ ერთი საშინელი საქმე არ დავმართე, ისე არ წაეღო აქედგანო. ამოვლო ხუთ მანეთიანი და მოწაფისთვის წუძალ ეთქო: აი, ამ ხუთიანს ჩაეღო და ხუთ მანეთს მოვიგებ, შენს მანეთს შენვე დაგიბრუნებ და ოთხს კი მე დავიტერ. მაგრამ მოხდა წინააღმდეგ მისის განზრახვისა: თათარმა მოიგდო თუ არა ხელად ხუთიანი, საით გაქრა კაცმა ვერ ვაიგო; ყოველთვის ფულების მოგების შემდეგ ასე იქცევა ხოლმე.

მღვდელს პოლიციაში მისვლა განუზრახა, მაგრამ სირცხვილს დაებრუნებინა.

შანსაკუთრებით პარასკევს და კვირა დღეებზე, რადგანაც ამ დღეებში ზეერი ხალხი ჩამოდის ბაზარში, ეს თათარი ძალიან მოგებაშია.

მგონი, არ იქნებოდა ურიგო, რომ ეს კაცი ქალაქის მთავრობას განედევნა ქალაქიდან და ან ეს ცუდი საქმე რამე ნაირად იმისთვის მოეშლევინებინა.

ა. ცეცხლაძე.

უცხო ქვეყნები

საზრანგეთი. („დროების“ კორრესპონდენცია.), ღილი ხანი არ არის, ერთმა აქაურმა გაზეთმა დაბეჭდა სტატისტიკური ცნობები პარიზის დროგამოშვებით გამოცემებზე; ამ ცნობებიდან გამოდის, რომ მარტო პარიზში 754 გაზეთი და ჟურნალი იბეჭდება. მათში:

ტენზოლოგიას ეკუთვნის	78
საექიმო და სააფთიაქო მეცნიერებას	63
სამსჯალო მეცნიერებას	69
თავ-შესაყოლებელი საკითხავი	56
მოდის	61
ღვთის მეტყველებას	53
ბიბლიოგრაფიას	53
მატემატიკურ და ბუნების მეცნიერებას	47
შოველ-დღიური პოლიტიკური გაზეთები	37
პედაგოგიური	25
სამხედრო ხელოვნება	23

სხვა და სხვა საგნებს	19
სამეურნეო ნაწილს	18
მუზიკა	17
მხატვრობა	11
სხენის მოვლას	12
პოლიტიკური ჟურნალები	11
ბეოგრაფია და ისტორია	10
არხიტექტურა	8
თეატრი	8
არხეოლოგია	5
შოტოგრაფია	2

მარტო ამ ჟურნალ-გაზეთების სიუხვეს შეუძლიან კაცს აზრი შეადგენინოს პარიზის გონების ცხოვრებაზე. მანათლება მარტო ცხოვრების გაუმჯობესებაში როდი მდგომარეობს; ცხოვრების მატერიალურად გაუმჯობესება შეუძლებელი იქ, სადაც მას გონებითი გაუმჯობესება არ მიუძღვის წინ. როგორც თვითეულ პირზედ ისე მთელ ხალხზედაც ითქმის, რომ სანამ ხალხი ან ერთი კაცი იმდენად გონება განსწილი არ არის, რომ თავისით შეეძლოს სხვა და სხვა საშუალებების გამოგონება თავის ცხოვრების გასაუმჯობესებლად ანუ სხვისგან გამოგონებულის გაგება, მანამ მისი ცხოვრების მატერიალურ მხარეს არა ვითარი გაუმჯობესება არ მოუხერხდება.

მეორეს მხრივ, გონების განსწავლვა ფუჭია, თუ ხალხის მდგომარეობა ნების არ აძლევს, რომ თავისუფლად ეცადოს მოიყვანოს აღსრულებად მისი გონების ნამუშევარი. მისი განათლების მდგომარეობა იმითი გაიზომება, თუ რამდენად აცხადებს თავის გონებითს მოძრაობას და როგორის მოხერხებით სარგებლობს თავის გონების ნამუშევრით.

ეს გონებითი მოძრაობა არის მიზეზი, რომ პარიზში ასე უხვად ხდება ამდენ სხვა და სხვა ნაირ ღრვა-მოშვებით გამოცემებს.

მერმე დახედეთ, როგორ თვითონ მათი რიცხვიც საინტერესოდ არის დალაგებული: წმინდა თეორეტიკულ მეცნიერებაში ბევრი კაცი არასოდეს არ მუშაობს; ხან მიტომ, რომ გონებითი ძალა აკლია და ხან მიტომ, რომ დიდ ინტერესს არ ჰპოულობს ამ ნაირ მუშაობაში; სხვა ნაირ საქმეში უფრო დიდ სიამოვნებას და სარგებლობასა ჰხედავს. ამიტომაც ის ჟურნალები და გაზეთები, რომელნიც მარტო ამ საგნებს ემსახურებიან, მაგდენად არ არიან გავრცელებულნი. ამის მაგივრად ყოველი კაცი ცდილობს, რომ ყოველ ნაირი მეცნიერების ნაყოფით ისარგებლოს და გააუმჯობესოს თავის ცხოვრება; ამიტომაც პირველი ადგილი იმ გამოცემებს უჭირავს, რომელნიც რომელიმე მეცნიერების პრაქტიკულ მხარეს შეიმუშავენ, რომელნიც თეორეტიკულ მეცნიერებას პირ და პირ ცხოვრების სასარგებლოდ ხდიან.

საზოგადოდ კაცის ცხოვრებაში ამ მეცნიერების ორ მხარეს: თეორეტიკულს და პრაქტიკულს პირველი ადგილი უჭირავს და ამიტომაც

ადგილი გასაგებია, რომ პარიზშიაც ამნაირ გამოცემათ აქვს პირველი ადგილი.

პარიზის ცხოვრება კაცს შორიდან მარტო პოლიტიკური ჰგონია; ხშირად აქაურ მცხოვრებსაც ისე ეჩვენება, თუ კარგად არ უგდო ყური. მაგრამ ზევით მოყვანილი სტატისტიკური ცნობებიდან სჩანს, რომ პოლიტიკურ გაზეთებს მარტო მეცხრე ადგილი უჭირავთ და ჟურნალებს კიდევ უფრო მდბალი. პოლიტიკური მხარე უფრო ადგილი შესანიშნავია და უფრო ყურსაც უგდებთ საზოგადოთ და ამიტომაც გვეჩვენება, რომ პარიზის ცხოვრება თავდაპირველად პოლიტიკურია, თორემ ამ ცნობებიდან ცხადათ სჩანს, რომ თავ და პირველი ადგილი მეცნიერებას და მის ცხოვრებასთან დახლოებას უჭირავს.

მაგრამ ხომ სულ ერთი, რა ნაირი უნდა იყოს ეს გამოცემანი, — პოლიტიკური თუ სამეცნიერო, ყოველ შემთხვევაში იმ ღრმა მოძრაობის ნიშანია, რომელიც პარიზის გონებითი მდგომარეობა არის. აქ ამ ჟურნალ-გაზეთების გამოცემა პირველ საეჭვო საქმეთ არის. ძვირათ მოაზრებთ აქ იმისთანა გაზეთს ან ჟურნალს, განსაკუთრებით პოლიტიკურს, რომ აქციებით არ გამოდიოდეს. ზაზეთის გამოცემა იმ ნაირსაქმეთა ხდება, როგორც რომელიმე რკინის გზის გაყვანა: შესდგება კამპანია, გამოსცემს აქციებს, მოუყრის ფულს თავს და შეუდგება მერე გაზეთის გამოცემას. თუ თანამშრომლები ცოტა ეარგიან და გამოცემლებმა მართებლობის ფერაობა კარგად იციან, მაშინ ამ გაზეთის აქციები ისე სულდება, როგორც ორ კი საეჭვო ქალაქ შუა გაყვანილი რკინის გზისა. ამას წინად ერთი აქაური გაზეთი აცხადებდა, რომ თითო მის აქციონერს წლის ანგარიშით 80 ათასი ფრანკი გახედაო.

ამოდენა ქალაქშიდ, როგორც პარიზია გასაკვირველი არ არის, რომ ყველა მისი მცხოვრებნი ერთი ინტერესის მქონენი არ არიან. მუშა ხალხს თავის ინტერესი აქვს, ვაჭარს თავისი, სწავლულს თავისი და სხვა. შევლას მათგანს თავის მოთხოვნილება აქვს და თავის დაკმაყოფილება უნდა; თვითეული გაზეთი ან ჟურნალიც ამ მიზნით გამოდის, და რომელიმე ამ მოთხოვნილებათაგანის დაკმაყოფილება აქვს სახეში. მისი პროგრამა განსაზღვრულია და მის მიმართულებას თავის განსაკუთრებით ფერი სდევს. ამ ნაირად, ფორტოგრაფებს თავის გაზეთი აქვთ, პარიკმახერებს თავისი და მოდისტებს თავისი. მაგრამ აქ იმას არაეინ ამბობს, რომ რახანც სხვა ამდენი გაზეთი გამოდის, ჩვენ ცალკე რაღათ გეინდაო.

შველას-კი ერთობით ის გაუკვირდებათ, რომ რომელსამე საზოგადოების ნიწილს, ან რომელსამე მოხელე გრუპპას თავის საკუთარი ორგანი არ ჰქონდეს. ჩვენ-კი დღემდისაც საეჭვოთა გვაქვს: მოიტანს რამე სარ-

გებლობას თუ არა, რომ ერთ მილიონ ნახევარ ხალხს ერთი ან ორი გაზეთი ჰქონდეს თავის ინტერესების გასარჩევლად და დასაცეველად!

ბ. ჯ.

პარიზი, 9 თებერვალს

ქრონიკა

სტატია XIX
საქართველოს განთავისუფლება მოსწოდებისათვის.

1318 წელს საქართველოს მეფედ დაჯდა ბიორგი V, წოდებული ბრწყინვალედ. მს იყო ბექა დიდის ათბავის ასულისაგან ნაშობი და მამის, მეფე დიმიტრის სიკვდილის შემდეგ, 1289 წელს, ბექამ თავის სახლში მიიღო და აღზარდა ისრე, როგორაც მოითხოვდა მეფის დანიშნულება და ღირსება.

ბექას ასულს დიმიტრისაგან ამის მეტი შეიღია არა ჰყოლია და ამისათვის „მართლის ცხოვრება“ ამბობს: ვითარცა მარგალიტისათვის თქმულ არს, მარტოება უმჯობესისათვის, ვგრეთვე ბიორგი იზოვა უმჯობესი ყოველთა კაცთა მის ჭამისათა, არა ოდენ ხელმწიფეთა, არამედ ყოველთა კაცთა (421 გვერ).

„მართლის ცხოვრების“ ეს აზრი არ არის ტყუილი. თუმცა ის ბიორგი მეფეზე ცოტას ლაპარაკობს; მაგრამ რასაც ამბობს, ისიც საკმაო არის იმის დასამტკიცებლად, რომ ამისათვის წოდებული ეპიტეტი „ბრწყინვალე“ ნამდვილად მართლდება იმის მოქმედებით.

ბიორგი მეფე ძლიერ ჰკუიანი და პოლიტიკურის ტაქტიკის კაცი იყო. იმან არასოდეს მონგოლებს ნება არ მისცა, იმაზე ეფიქრნათ, რომ ის იმათი ორგულია, ვიდრე მარჯვე ღრო არ შეჰხედა. ამას განზრახული ჰქონდა საქართველოს იმათგან განთავისუფლება; მაგრამ ისრე რიგიანად და პოლიტიკურად იქცეოდა, რომ იმაზე არამც თუ ეჭვს ვერ იღებდნენ, არამედ პირველ ერთგულ კაცად მიანჩნდათ.

რომ უფრო დიდი გავლენა და სახელი ჰქონდეს საქართველოს დიდებულებსა და მთავრებსა, იმან მონგოლების ყენს ამბახებინა, რომ მთელი საქართველო ბიორგის მეფობის ქვეშ ერთად შეიკრიბოს და იმას ემორჩილებოდეს (447 გვერ.)

მაგრამ როცა ჩოფან ნოინი მოკვდა, მაშინ სხვა ნოინებმა მოჰკლეს მკირე წლოვანი ყანი მუსაითი და რომელთამე დაიპყრეს სპარსეთი, სხვამან ხორასანი, სხვამან ერაყი, სხვამან ადრბაგანი და სხვათა საბერძნეთი. მაშინ ბიორგიმ დაიგულა მარჯვე ღრო, გაუდგა მონგოლებს და გარეკა საქართველოს ტერიტორიიდან; მაგრამ ისრეთის განიერებით, რომ ცუდ-უბრალოდ ხალხი არ ამოხრცა მონგოლებთან ბრძოლაში. მანასხა თათარი საქართველოსაგან, ამბობს „მარ. ცხ.“ 448 კაბაღონზე, რომელნიმე განიერებითა, რომელნიმე ბრძოლითა და ძლიერებითა და მოხრანა ყოველნი საძღვართაგან თვისთა.“

მს შობდა 1318 წლისა და 1330 წლებს შუა.
ამის შემდეგ ძახეთში მომბორის მთაზე გამართა ზემო, იქ მიიპატი-
ჯა საქართველოს მთავრები, მრისთა-
ვები და წარჩინებულები, ვითომც
იმისთვის, რომ ილღესასწაულონ მონ-
გოლების დამარცხება და საქართვე-
ლოს განთავისუფლება, როცა ყვი-
ლანი შეიყარნენ, მაშინ იმან დაიჭი-
რა ურჩინი მრისთაენი, დახოცა და
მათ ნაცულად დააყენა იმისთანა კა-
ცები, რომელნიც იმის მოაჩილნი
იყვნენ.

ამ გასაკიცხავ საქმეში ვგონებ
მონაწილეობა ილო ბექას შეიღმა
სარგის ჯაყელმაცა. მსა ჰსჩანს იქიდ
გან, რომ ამ ლალატობით სისხლის
ღვრის შემდეგ ბიორგი მეფემ სარგის
ამირ-სპასალარობა მისცა. მერმე შეკ-
რიბა ჯარები, შევიდა ბანჯისა და შე-
მახიის ლუბერნიებში, მონგოლები ვა-
რეკა და თვითონ დაიმორჩილა. აქედ-
გან შემოპყვა ნუხის მაზრას, გამო-
იარა საინგილოში, ყველგან ერთგუ-
ლი მოხელეები დააყენა და მოვიდა
თფილისის ქალაქში.

აღმოსავლეთის საქართველო მთ-
ლად რომ დაიმორჩილა, მოინდომა
დასავლეთის საქართველოსიც და-
ყრობა. მაგრამ ისრე, რომ ქართ-
ველთ სისხლი არ დაღვრილიყო.
იმის ბედზე იმერეთში ამ დროს, რო-
გორც ვიცით წინა სტატიიდან,
არეულობა იყო. მცირე წლოვანს
ბაგრატი აქაური მთავრები და მრის-
თაეები არ ემორჩილებოდნენ და
იყო მათ შორის ერთმანეთის ჯღე-
ტა და ცქვლეფა. ამ შფოთმა იმე-
რეთი ძლიერ შეაწუხა. მს ბიორგი
მეფემ ძლიერ კარგათ იცოდა. მო-
უზახენა შეწუხებულ ხალხს ელჩი
და სთხოვა, რომ მე დამემორჩილეთ
და იმერეთს დავამშვიდებო. იმერე-
თის ხალხი თანახმა გახდა, ამისთვის
რომ ეს მეფე ერთი რომ ნათესავი
იყო იმერეთის მეფეებისა, მეორედ
შფოთისაგან შეწყობდა.

1330 წელს ბიორგიმ შეკრიბა
ჯარები, უეცრად გადიარა სურამის
მთა, დაიპყრო შორაპნის მაზრა და
მერმე მოიღვა მუთაისის ციხეს მი-

მერიონს. ამ ციხეში იყო შენი-
ზნული მცირე წლოვანი ბაგრატი
თავის მომხრე პირებიტურთ; მაგრამ
შიშით ბიორგის ზომი ვერ აუტყნა;
არამედ ითხოვა ბიორგისაგან ზავი.
ბიორგიმ სიხარულით განაცხადა
თავისი თანხმობა. მაშინ ბაგრატი
გამოვიდა ციხიდან და შეუტირდა
მეფეს. მეფემ იმას მეფობის მიღების
უფლება ჩამოართო და საცხოვრე-
ბლად მისცა შორაპნის მაზრა. ბაგ-
რატი ყველაფერზე დათანხმდა, და
იმერლობასაც ძლიერ გაუხარდა, რომ
ქართველი ხალხი ძლიერის მეფის
ხელ ქვეშ შეერთდა.

ადიანს, ბურიელს, შარვაშიძეს
და სვანების ერისთავს არამც თუ
ეწყინათ იმერეთის ბიორგი მეფისა-
გან დაპყრობა, არამედ კიდევაც გა-
უხარდათ. ამისათვის ისინი ყველანი
მოვიდნენ დიდს საჩუქრებითა და
დაულოცეს იმერეთის მეფობა.

ამის შემდეგ ბიორგიმ მოიარა
მთელი იმერეთი, მერმე გადვიდა
ბურიაში, იქიდგან შეიარა სამცხე-
საათაბაგო, ყველგან დააყენა სანდო
ერისთაეები და მოვიდა თფილისში.

ამ გვარად ბიორგი „ბრწყინე-
ლემ“ 1330 წელს მთელი საქართვე-
ლოს ტერიტორია შეაერთა და გახ-
და თვით მპყრობელ მეფედ. ამ გვა-
რი ცელილებს მოხდენისათვის ქარ-
თველთა ერთი ძალიან მადლობელი
დარჩა, უხაროდა და ღმერთს მადლო-
ბასა სწირავდა, რომ ამას ამისთანა
ტკუიანი და ბედნიერი მეფე შეჰხვდა.
აი, ამისთვის ეწოდა იმას „ბრწყინ-
ვალე.“

ინგილო ჯანაშვილი

საბაასო

დროების 89-18 №-ში და-
გავდილს წერილზედ

ძლიერ სამწუხარო და გასაკვირ-
ველია, რომ მკურნალს ბახტოვს
დამწუხრებია დედა ენა, თვითონ ვერა
დაუწერია რა და ძლიერ უშოვნია
იმისთანა ადვოკატი—დამცველი, რო-
მელიც იმას გამოსარჩლებია.

სანადის ეს ადვოკატი, ა. მიქე-

ლაძე, დალაგებით არ წაიკითხავს იმ
ჩემს წერილს, რახედაც დღეს ბაასობს
და პირ-და-პირ არ მომცემს პასუხს,
იმ დრომდის არ გავარკვევ მის
წერილს და ტყუილად დროს არ
დავკარგავ. მხოლო კი ეს ახსოვდეს,
რომ მე ჩემს წერილში არ ვამბობ
არც ხურებაზედ, არც მუცელაზე და
არც ბახტოვისაგან თითო ვიზიტში
ფულების აღებაზე; რომ მე არ ვარ
იმ მამებთაგანი, რომ ღმერთი ვგმო,
რაც უნდა უბედურობა შემხედეს;
და ბოლოს არ დაიფიწყოს თავის
მარწმუნებელის სიტყვაც „მე ჯანი-
ოზ ექიმი არ ვარო.“

ჩვენ ქართველები, ჯანიოზ ექიმად
ერაცხვით იმ მკურნალს, რომელსაც
ნამდვილადესმის კაცობრიობაც, სწე-
ულობაც, წამალიც და ყოველის
ლონით სცილობს ავად-მყოფის
მორჩენას. თუ ბახტოვი ამისთანა
ჯანიოზი არ არის, როგორც თვი-
თონ ამბობს, მაშ რაღა?

მსწელი ბიგაურავი

მუთაისი, 13 თებერვალს.

განსხვლება

შესანიშნავი

იაზობა

ბალაგინის პროსპექტ-
ზე, პოლკოვნიკოვის სა-
რიევის სახლებში, „ამერი-
კის“ სასტუმროს გვერდით.
არა ჩვეულებრივმა ვაჭრობის სი-
ძაბუნემ და ფულის კრიზისმა მაიძუ-
ლა მე

მოკლეს ხნით

მოესულყოვე ქ. თფილისში ახ-
ლის და ნაირ-ნაირის საქონელით.
მაქვს უოპლგვარი თმთრეული,
ტილოს სამონალი.

რადგანაც მსურს, რომ ჩემი საქო-
ნელი რაც შეიძლება მსწრაფლად
გაჰყიდო, ამის გამო გადავწყვიტე,
რომ ყველა საქონლის ფასზე 25%
დაუკლო და ამ ნაირად კონკურენ-
ცია ავიცალო ჩემს მაღაზიას, რომე-
ლიც სწრა მალაზიებზე უფრო იაფად
გაჰყიდოს.

შეორჩილესად ესთხოვ პატივთ-
მულ საზოგადოებას მიაქციოს ყუ-

რადღება პრის-კურანტს, რომე-
ლიც ჩემს შემოხმუნებულ მაღა-
ზიაში იზოვება. გიგანტი
აქვე ისყიდება ყოველ-
გვარი სამაზითეო თეთრე-
ული.

ოღმისს ვაჭარი მ. ჩიჩი.

სარძიმო სარდავი

შუ. ახვლედიანისა

და

ვარლამოვისა

ზაინსება ყველიერის ორშაბათს,
17-ს ფებერვალს.

სარდავი გაიყიდება შემდეგნ-
წარმოები შემდეგის ფასით:

- ქარაქი, გირვანქა. 55 კაპ.
- ნაღები 40 —
- სმეტანა 30 —
- ხაქო (ტვიროვი) 10 —
- მოუხდელი რძე 5 —
- მოხდელი რძე 2 —
- ქველი 15 —

სარდავი იმყოფება მრევნის მე-
დანზე, სემინარიის პირდაპირ; მანდ-
ნოვის სახლებში, ბიუდელის მაღა-
ზიის ქვეშ.

ნიკოლოზ დიმიტროვის ქე

თფიანი

თინაშემწე ნათიცი ექილისა.

შეკილებს ახალი წყის ძალით და
თფილისის სამოსამართლო პალატისა-
გან და აგრეთვე თფილისისა და ქუ-
თაისის ოლქის სასამართლოებისაგან
მიღებულის ნება დართვით აწარმო-
ებს და დაიცავს სამოქალაქო და
სისხლის სამართლის საქმეებს თფი-
ლისის სამოსამართლო პალატაში
თფილისის ოლქის სასამართლოში
და თფილისის მომრიგებელ მსაჯუ-
ლებთან. ბარდა ამისა, თანახმა არის
თფილისის გარეთაც აწარმოოს და
დაიცვას საქმეები მუთაისის ოლქის
სასამართლოში და მომრიგებელ მსა-
ჯულებთან როგორც თვით მუთა-
ისში, აგრეთვე თფილისისა და მუთა-
ისის გუბერნიების უფებებში.

აგრეთვე მიიღებს შედგენას საძი-
ებო ზარებისას, ანელატიის და კასა-
ციის საჩივრებისას და სხვათა სასა-
მართლოში შესატანი ქალაქებისას
და აგრეთვე სხვა და სხვა პირობათა
და კანტრაქტების შედგენას.
თფილისის პრესნალის ქუჩა, შული-
ნოვისა (ანუ ბუტყაყვის) სახლებში.
ღილით თერთმეტ სათამდინ.

სალამოთი—ხუთი საათიდან შედ
სათამდინ.

შოჩით ანუ ტელეგრაფით უნდა
მოიწერონ: ВЪ Тифлисъ, Николаю
Кипиани.

რ.პ.ზ.პ.	ლილა.	სალამ.	II კ.	III კ.	ცეცხლის გაეგები	ფოვობა	ბირჟა	მან. კაპ	გაზანდა	მან. კაპ
თფილისი	8 18	8 17			ა) შოთილამ:	ა) თფილისი დამ:	პეტერბურგი, 7 თებერვ.		თფილისი, 14 თებერვ.	
მცხეთა	9 18	10	68	38	მდესისკენ — ხუთშაბ. საღ წ საათ	სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს				
ბორი	11 39	1 43	40	1 23	სტამბოლს — კვირაობით დილას.	— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ.	ერთი მანეთი ღირს:		1 20	
სურამი	1 52	4 30	3 92	2 18	ბ) სოხუმშიდამ:	ოთხშ., მსხურეთს — პარასკ და	ლონდონში 3 3 1/2 პენსი.	84	65	
ბეჟათუბანი	3 45		4 42	2 46	შოთს — ოთხშაბათს, დამით.	ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაუ. და	პარიჟში 3 5 1/2 სანტიმი.	89	80	
შვირილი	6 49		5 81	3 23	მდესას — რასვევს, ვათენებისას	შაბ. ტახეთს — სამშ. და შაბ.	სკონტი (სარგებლისფასი)	6	65	
მუთაისი	7 55		6 75	3 75	შოთილამ: I II III	ბ) მუთაისი დამ:	ბანკის ბილეტი 5%	98 25	8	
სამტრედია	9 2		7 73	4 29	სოხუმშიდამი . 4 3 1 1	თფილისისა და შოთისაკენ — ყო-	მოგებიანი (პირველისესხი)	193 75	40	
ახ.სენაკი	10		8 57	4 76	მერხამდი . 20 50 15 50 5	ველ დღე, კვირას გარდა. მსხურ-	მოგებიანი (მეორე სესხი)	193 25	60	
შოთი	11		9 75	5 42	ტავანროვ. 34 27 8 60	გეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს	ბრაოს ფურცლები:		60	
					მდესისადი. 38 30 9 60	— ოთხშაბ.	თფილ. სააზნ. ბანკისა,		40	
							ხერსონის ბანკის (5 1/2)	86 50	60	
							მოსკოვის (5%)	86 50	50	
							აქციები:			
							მდესის სავაჭრო ბანკის.	230		
							შოთი-თფილ რკინ. გზის	133		
							შავიზღვის ცუც. გემების	560		
							ქავაზის და მერკურის	168		
							პირგ საზღვევ. საზოგ.	665		
							პეტერბ. საზღვევ. საზ.	263		
							მოსკოვის საზღვევ. საზ.	257 65		